№ 94

ხუთშაბათი, 5 მაისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 94

ხუთშაბათი, 5 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**იაკობ სვიმონის ძე და ანნა იაკობის ასული პავლიაშვილისანი** და დეკანოზი **დავით ჭრელაშვილი** თავისის დებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ცოლისა, მეორე დედისა და დანარჩენნი დისა თვისისა **სალომე გრიგოლის ასულის პავლიაშვილისას.** გამოსვენება ცხედრისა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დეკანოზ დავით ჭრელაშვილის სადგურიდამ დანიშნულია 5-ს მაისს, დილის 9½ საათზედ.

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" სასარგებლოდ
**დანიშნულია 8 მაისს.**

თუ ამინდი არ ევარგება, ლატარია-ალეგრი 15 მაისისათვის გადაიდება.

ვისაც ჰსურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოოზის ქუჩა, საგინოვის სახლი 21).

## „ივერია"

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის" რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

სატელეგრაფო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

## მოსკოვის ურთიერთით შორის ქირნახულის სეტყვისაგან

## დამზღვეველ საზოგადოების

## წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახების პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას საუკეთესო მოსავლისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი განყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქმნება ხსენებულ ჯამის 3% საწევრო გადასახადისა (მე-40 §-ი წესდებისა).

რადგანაც ძოახლოვებულია ქირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ ბ-ნთ ბაღ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ მამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დააჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრეთვე „სევერნი ნომრებში" 2—4 საათამდე.

აქავე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
პ. მ. ოკულიჩი

(10—1177—2)

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა **საგანგებო კრების** სხდომის განგრძობა დანიშნულია 6 მაისს, პარასკევს, საღამოს ექვსს საათზედ, სათავად-აზნაურობანკის დარბაზში.

(2—1)

## ტფილისი, 5 მაისს

—

„პეტერბურგის უწყებაში" მოუყვანილია ერთი ფრიად საყურადღებო ამბავი ახლანდელ ადვოკატთა ცხოვრებიდან.

ვიღაც გ. პ. წასჩხუბებია თავის ცოლს და განუზრახავს იმისი სტოლის უჯრები გაესინჯა. საუბედუროდ, ქმარს ერთი დიდი შეკვრა ბარათები უპოვნია თავის ცოლთან მოწერილი ვიღაც კ—გან. ნაფიცს ვექილს—ქმარი ნაფიცი ვექილი იყო—იმ წამსვე გადაუღია პირი ამ ბარათებისა, თავისებურად შეუცვლია ზოგიერთი ფრაზები და არზა შეუტანია სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტში, რომელშიც აბრალებდა თავის ცოლს და კ—ს ახლად დასჯილის სიკვდილით ანარხისტის რევაშოლის თანამგრძნობლობას. ნაფიცი ვექილი პ. თხოულობდა, რომ კ. განეძევებიათ პეტერბურგიდან, მაგრამ პოლიციამ იმისი თხოვნა არ შეიწყნარა. ამაზედ კ—ს უჩივლია პ—თვის ნაფიც ვექილთა საბჭოში. საბჭომ რამდენიმე სადამო მოანდომა ამ საქმეს, სურდა გამოერკვია ნამდვილი ხასიათი პ—ის ყოფა-ქცევისა, მაგრამ ერთს რასმეს მაინც ვერ დაადგა, და წევრთა აზრი გაყოო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ეს შინაური საქმეა და საამხანაგო სამსჯავროს არ ექვემდებარებაო; მომეტებული ნაწილი-კი იმ აზრისა იყო, რომ ნაფიცი ვექილი მოვალეა იხმაროს მხოლოდ კანონის მიერ ნება-დართული საშვალებანი—პატიოსანი და წესიერი, როგორც თავის მრწმუნებელის ინტერესების დასაცველად, აგრეთვე თავის მოწინააღმდეგის შესახებაცო. ნაფიცი ვექილი ფრთხილი და მორიდებული უნდა იყოს თავის მოწინააღმდეგის გასამტყუნებლად საბუთების ხმარების დროსაო.

მეცადინეობა ნაფიცის ვექილისა პ—სა, რომ განეძევებინა პეტერბურგიდან საშიშარი თავისი მოპირისპირე არ შეესაბამება ნაფიცის ვექილის ღირსებას და უკარგავს პატივისცე მას ნაფიც ვექილთ წოდებასაო.

შემდეგ, საბჭომ ხმის უმეტესობით გამორიცხა პ. თავის წოდებიდან. უმცირესობა-კი ამტკიცებდა, რომ ამ გვარი შემთხვევა შინაური საქმეა და საბჭო არ უნდა ჩაერიოსო. პ—მა იჩივლა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც გააუქმა ნაფიც ვექილთა განაჩენი.

მართალია, გავრცელებულია ის აზრი, რომ შინაურ საქმეში, ცოლისა და ქმრის ანგარიშებში, გარეშენი არ უნდა ჩაერივნენო, მაგრამ უბედურობაც ის არის, რომ ერთობ ძნელია შინაურსა და საზოგადოებრივ საქმეს შორის ისეთის ცხადის ხაზის გავლება, რომელიც დაანახებს კაცს: აქ თავდება ოჯახის უფლება და, აქ-კი საზოგადოებრივი საზღვარი იწყება; ასეთის ხაზისა და ღარის გავლება ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ, თუ საშვალება ხმარებული ნაფიცის ვექილის პ—გან დასაგმობია—და რომ იგი დარგმობია, ამას ეჭვიც არ უნდა—მაშ რაღად უნდა იყოს შესაწყნარებელი მოტყუებული ქმარი, რომ მის უწესო ყოფა-ქცევას სარჩულად ცოლის ღალატი აქვს დადებული? უმართებულო მოქმედება, საზარელი ყოფაქცევა თავის საზიზღარ მნიშვნელობას განა იმიტომ დაჰკარგავს და თანაგრძნობის ღირსი შეიქნება, რომ ვისმეს თავის ცოლის საყვარლის შურისძიება სურდეს, ანუ სხვა რამ კერძო განზრახვა, ანგარიში და მტრობა ჰქონდეს სახეში?!

საშვალების ხმარების შესახებ ორი, ერთი მეორის წინააღმდეგი აზრი არსებობს. ერთის აზრის მომხრენი ამბობენ: წმინდა საქმე მხოლოდ წმინდისავე საშვალებით უნდა გაკეთდესო. ამ აზრის დამცველნი იქამდის მიდიან, რომ თავამად აღიარებენ: ოღონდ სამართალი ნუ დაიჩაგრება და ქვა ქვაზედ ნუ დარჩენილაო. მეორენი-კი ამბობენ: დიდის საკეთილო საქმისთვის ყოველი საშუალება უნდა იყოს ხმარებულიო. ამ ორ აზრთა დამცველთ შორის, რასაკვირველია, დიდი მანძილია და განსხვავებაც ძირითადია. მაგრამ არიან კიდევ მესამე აზრის მომხრენიც რომელნიც დღეს უმრავლესობას შეადგენენ. უნდა ვსთქვათ, ვერაფერი თანაგრძნობის ღირსნი არიან ესენი! ესენი არიან ის ვაჟბატონები, რომელნიც დაგმობილ საშვალებას არ თაკილობენ და ისეთ ღონისძიებას ხმარობენ თავის მადის დასაკმაყოფილებლად, რომლის ხმა-მაღლა თქმა, გამოქვეყნება, რასაკვირველია, არ შეუძლიათ. მერე, რისთვის უარჰყოფენ ზნეობისა და საზოგადობრივ კანონებს, ქვეყნის რომლის დიდის საჭიროებისთვის? საუბედუროდ, აქ ქვეყანა და ხალხი არაფერს შუაშია, მოძრავ ძალად, საგნად ისევ ის თავისი ქინი და ხარბი მადა აქვთ.

საზოგადოებაში ამ გვარის კაცების ალაგმვა, რასაკვირველია, ძალიან გაჭირდება და ამათთან ბრძოლაც საფრთხილოა, რადგანაც მათთვის წესისა და რიგის საზღვარი არ არსებობს.

მაგრამ, როდესაც არის რომელიმე წრე, რომელიმე წოდება, სადაც მოვალეობად ჩაითვლება მხოლოდ პატიოსანი საშვალების ხმარება და თითოეულის უმართებულო საქციელისათვის წევრი განდევნილ უნდა იყოს, ვითარცა უღირსი, მაშინ საჭიროა, რომ ამ წრემ, თუ წოდებამ თავისი უფლება მოიხმაროს და უკადრისი ყოფა-ქცევა არავის აპატიოს.

სწორედ ამ გვარი დაწესებულებაა ნაფიც ვექილთა საბჭო, რომლის განაჩენი მოსარიდალი და პატივსაცემია წევრთაგან. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენშიც დაარსდებოდეს ასეთი საბჭო, არა მარტო ნაფიც ვექილთათვის, არამედ კერძო ვექილთა და სხვა-და-სხვა ხელობის კაცთათვისაც.

მაშინ საიმედო იქნებოდა, რომ საზოგადობრივი აზრი გაჩნდებოდა ჩვენშიც და დაუსჯელად ვერავინ ჩაიდენდა ისეთ რასმეს, რომელიც კეთილ განწყობილს ქვეყანაში დასაგმობია, ხოლო ჩვენში-კი სრულიად უყურადღებოდ რჩება.

მეველე

---

### შემოწირულებანი

—

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მომავალ ლატარიისათვის კიდევ შემოსწირეს:

ბ-ნ დ. ზ. სარაჯიშვილმა—ოცი ბოთლი ლიკორი.

კნეინა ნინო ირაკლის ასულმა ამილახვარმა—ყვავილის სამი ვაზა.

კნ. ბარბარე სოლომონის ასულმა ნაკაშიძისამ—პალმა.

---

## ახალი ამბავი

—

*** ს. კაკაბეთის მცხოვრებლებმა განიზრახეს გაიყვანონ არხი მდ. იორიდან თავიანთი ძძულების ძოსარწყავად. მიწვეულმა ინჟენერ ჰიდრავლიკმა დაათვალიერა ადგილი, შეადგინა გეგმა, გამოიძია საქმის ვითარება და აღმოჩნდა, რომ არხის გაყვანას დასჭირდება 10,000 მან. არხი დაიწყება ს. საგარეჯოსთან და შემდეგ გადადის სიღნაღის მაზრაში. სიგძე აქვს 18 ვერსი და მითი მოირწყვის 1400 დღიური მამული.

გუშინ კაკაბეთის ამორჩეულმა კაცმა ბ-ნ გუბერნატორს სთხოვა, ნება მოგვეცი ამ ჩვენთვის სახეირო საქმისთვის მოვიხმაროთ ჩვენი სასოფლო სამეურნეო თანხა, რომლის შეგროვებას ამ ოთხის წლის წინად შეუდგითო. დღეს ეს თანხა უდრის 7,000 მან. ტფილისისა და სიღნაღის მაზრის უფროსებმაც თ. ჯანდიერმა და კ. ზ. შანშიევმა მოახსენეს ბ-ნ გუბერნატორს, განზრახული არხის გაჭრა დიდს ხეირს და სარგებლობას მოუტანს როგორც კაკაბეთს, აგრეთვე სხვა სოფლელებსაცო და ამისათვის სთხოვდნენ, უარს ნუ ეტყვით და შეიწყნარეთ მათი თხოვნაო.

გუბერნატორმა თხოვნა აუსრულა კაკაბეთელებს, ნება დართო 7,000 მან. დახარჯვისა იმ პირობით, რომ ეს ფული ნაწილ-ნაწილ დააბრუნონ, რათა მათი თანხა უფრო გაძლიერდეს, გადიდდეს და უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს ეკონომიურად დაცემულ გლეხობას. ამასთანავე დაწვრილებით განუმარტა მთხოვნელს სიკეთე ამ ახალის საქმისა. ფული ისესხეს კაკაბეთელებმა, რასაკვირველია, უსარგებლოდ.

ვექილი ს. კაკაბეთისა სრულიად კმაყოფილი დარჩა და სახეზედ ეტყობოდა, რომ ამ არა ჩვეულებრივმა

საუბარმა ეს უბრალო კაცი სრულიად მოხიბლა.

ამავე დღეს ბ-ნმა გუბერნატორმა ნება დართო ს. შ ხნაზარის (ბორჩალოს მაზრა) მცხოვრებთ გამოიტანონ 1,300 მან. თავიანთი თანხიდან. ადგილობრივმა მაზრის უფროსმა თ. სუმბათაშვილმა მოახსენა გუბერნატორს, რომ შახნაზარელებმა თ. ა. ე. ორბელიანისაგან იყიდეს 2100 დღიური მამული და გასასყიდის წერილის შესადგენად უცბად სჭირდებათ ეს ფულიო. ორთავ ვექილები თვით მაზრის უფროსებმა წარუდგინეს გუბერნატორს და თან დაწვრილებით უამბობდნენ საქმის ვითარებას.

ამ გვარად ამ სამი-ოთხი წლის წინად დაწყებულმა საქმემ, ამ მცირე ხანში ასე თვალ-საჩინო ნაყოფი მოიტანა და ვინ აღნუსხავს, კიდევ რამდენ სარგებლობას მოუტანს დაჩაგრულ გლეხობას სასოფლო სამეურნეო თანხა.

*** სოფ. ტყვიავი: არ ვიცით ამდენს უბედურებას როგორ გავუძლოთ? ბუნებამ წელს სულ ყველაფერით ხელი მოგვიცარა. ხვნა-თესვას, რომელსაც წინა წლებში მორჩენილი ვყოფილვართ ამ დროს, ჯერ ეხლა ვიწყებთ და ეხლაც ამინდი ხელს არ გვიწყობს. ცივმა ზამთარმა და მეტადრე წყეულმა მარტმა ვაზი გაგვიოხრა. გლეხ-კაცობა ჩვენსკენ ეხლა ისეა გაჭირვებული, რომ ერთი ათად მეტი ფასი მისცე წინა წლებში როგორც ფასობდა, მუშას ვერ იშოვნი და ნება უნებურად შეუმუშავებელი დარჩება მამული მარტოხელს და დიდი მამულის პატრონებს. ეს არაფერი, სასოფლო ბეგარამაც ეხლა მოგვატანა. 24 აპრილს მოგვივიდა ბრძანება მაზრის უფროსისაგან, რომ ტყვიავის და კარალეთის სამამასახლისო სოფლებმა უნდა დააყარონ გორის და ცხინვალის გზატკეცილს ქვიშა, მდინარე პატარა-ლიახვიდამ მოკიდებული სოფელ კარალეთამდე. მუშაობა უნდა დაიწყოთ ბრძანების მიღებისათანავეო. ამ ამბით ხალხი ისე შეწუხდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა. საჩქაროდ ამოირჩიეს კაცები და გაგზავნეს გორში მაზრის უფროსთან.

ამორჩეულნი კაცები დაბრუნდნენ ცოტათი დამშვიდებულნი: ბ-ნს მაზრის უფროსს გზატკეცილზედ ქვიშის დაყრა გადაედო ათს მაისისათვის. ესეც დიდი მოწყალება არის ჯერ ხნობით. თუმცა ათს მაისისთვისაც ისე გაგვიჭირდება ეს საქმე როგორც, დღეს, რადგანაც იმ სამუშაოს, რომელსაც კვლავ ამ დროს მორჩენილი ვყოფილვართ, მაისის გასულსაც ვერ გავათავებთ წელს. ძალიან სასურველი იქნებოდა, რომ ბ-ნს მაზრის უფროსს ენებებინა და ბრძანება გასულს მაისამდის გადაედო, მით უმეტეს, რომ ქვიშის დაყრა ისეთი ძნელი სამუშაოა ამ სიგანე გზატკეცილზედ, თხუთმეტის ვერსის მანძილზედ, რომ ორ კვირას ვერ მორჩებიან ზემოხსენებული სამამასახლისოების სოფლები.

*** იქიდგანვე: მდინარე პატარა-ლიახვი ძალიან ადიდდა და ჩვენი ყპად აღებული ხიდი ლამის წყალმა წაიღოს. 30 აპრილს, ხიდის მარცხენა მხარე გააფუჭა, ხალხმა რის ვაივაგლახით გაიმაგრა. მეორე დღეს შევხედეთ და გუშინ გაშლილი მდინარე დღეს ერთად შეკუმშულა და მისწოლია მარტო ერთს შუა ბურჯს. ქვები და ფიჩხი, რითაც სავსე იყო ეს ბურჯი (კიდობანი), სრულებით გამოელაგებინ. წყალს და ცარიელი ფიცრები-ღა იდგა ჩასაწოლად დამზადებული. მაშინვე შეჰკრიბა ხალხი მამასახლისმა და ზევიდგან დაუწყო ჩალაგება ქვასა და ფიჩხს. მოეშველა ცხინვალის ბოქაულიც და რის წვალებით გაამაგრეს ხიდი, მაგრამ ვაი ამ გამაგრებას, ხიდს ზანზარი გააქვს. ხალხი თუმცა ყოველ დღეს ადგია და ბურჯებში ქვასა და ფიჩხსა ჰყრიან, წყალი თავისას არ იშლის და ძირიდამ ისევ აცლის. ჯერეთ მთიდამ არ დაძრულა ის უზარმაზარი თოვლი, რაიცა ბლომად ჩამოჰყარა წლევანდელმა ზამთარმა. პატარა რომ შეთბება მთაში, წყალი თან-და-თან მოემატება ჩვენს პატარა—ლიახვს და არ ვიცი რას უზამს ხიდს: შენი მტერი, ჩვენი საქმე იქმნება, რომ ეს ხიდი წაიღოს!

*** მეეტლე ვასილ დობრივი პოლიციაში მივიდა და გამოაცხადა, რომ წყნეთის გზაზედ ჩემს ეტლში მსხდომი ვიღაც სამი-კაცი თავს დამეცა, კოფოდგან ძირს გადმომაგდეს, მცემეს, უბიდგან საათი წამართვეს და ჯიბიდგან რვა მანეთიო. მეეტლე სისხლში ამოსვრილი იყო. პოლიციელებმა დამნაშავენი შეიპყრეს, რომელიც აღმოჩნდნენ ტფილისის მცხოვრებნი ილო ვარდიძე, გილა ლექავა და ივანე აბულაძე და თავიანთი დანაშაულიც აღიარეს. ამათ, წინადაც ჩაუდენიათ სხვა და სხვა დანაშაული და ციხეში ყოფილან დაპატიმრებულნი.

*** ებრაელმა მარიამ პაისმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემი შვიდის წლის ძმა ხაიმ პაისი 2 მაისს გოგილოს აბანოს მახლობლად მტკვრის პირას დასეირნობდა, ფეხი გადაუცდა, მტკვარში ჩავარდა და დაიხრჩოვო.

## დამაკვირდი

შვილდი მხოლოდ მოხრილი არის ძლიერი.

**

მედიდურობა და მანჭვა პირველი ნიშანია ჭკუის სისუსტისა.

ლაროშფუკო

**

ნაყოფიერ ხეს ქვას როდი ესვრიან.

საადი

## კორესპონდენცია

**გურია.** ბ-ნმა ალშიბაიამ თავის მომავალ მოქმედების პროგრამმა დაწვლილებით და თვალ-საჩინოდ გაარკვია თავის ხელქვეითთა და საზოგადოების წინაშე. ამას წინად ოზურგეთში ყავდა მიწვეული პოლიციის ბოქაულნი, სოფლის მამასახლისნი, მწერალნი და მსაჯულნი, რომელთაც გარეშე საზოგადოების თანდასწრებით სამ საათზე მეტი ელაპარაკა. სამწუხაროდ ჩემდა არ ძალმიძს სავსებით გადმოგცეთ ყოველივე ის, რაც მაზრის უფროსმა უთხრა მის ხელქვეითებს.

„ჩვენი საქმეო, სთქვა მაზრის უფროსმა, ის არის, რომ მაზრაში დაცულ იქმნას მშვიდობა, მყუდროება და წესიერება. ყოველმა მკვიდრმა მშვიდობიანად უნდა დაიძინოს და არავის არ უნდა აშფოთებდეს ის შემაძრწუნებელი ფიქრი, რომ აი ეხლა დამესხმიან თავს ავაზაკები და ჩემის შრომით მოპოვებულ ლუკმას წამგლეჯენო. ეს მაშინ იქნება, უკეთუ თითოეული ჩვენგანი მთელის თავის ძალ-ღონით ეცდება, რომ მაზრაში არავითარი საეჭვო ყოფა-ქცევის, უწესო და უსაქმო კაცი არ ჰპჰანებდეს. ხოლო ამისათვის საჭიროა შრომას ფასი დაედოს და მშრომელს ღირსეული პატივისცემა ჰქონდეს მთავრობის წარმომადგენელთა და საზოგადოების თვალში. როცა მშრომელი და მოსაქმე კაცი თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს საზოგადოებაში, მაშინ, დამთხვეული და ჰკუაზე შემცდარი თუ არ არის ადამიანი, უსათუოდ პატიოსან ღონისძიებით ეცდება ყველა კაცი დღიურ ლუკმის მოპოებას და თავის მოძმის დოვლათის და ქონებისაკენ არ გააქანებს საავაზაკოდ ხელს. უკეთუ თქვენს საზოგადოებაში გვგულებათ გზას გადამცდარი კაცები, რომლებიც არაფერს აკეთებენ და უქმად ატარებენ სიცოცხლეს, ეცადეთ, რომ ასეთ კაცების გული მამობრივის დარიგებით მოინადიროთ და სწორ გზაზე დააყენოთ. ღვთის ხატება—მსგავსება მქონე ადამიანი-კი არა, მხეცები მოიშინაურეს და რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანის გამოწორმართება შეუძლებელ იყოს. ვეცადოთ, რომ გავასწოროთ მრუდე კაცები და თუ გასწორება ვერ მოვუხერხოთ, გადარევით მაინც ნუ გადავრევთ. უკეთუ საზოგადოებას და ხალხს სიყვარული აქვს თქვენი, პატივისცემა და ნდობა აქვს, უსათუოდ თქვენ რჩევა-დარიგებასაც შეისმენს. და თუ ეს ნდობა და სიყვარული დაგიკარგავთ, მაშინ ყოველივე ამაოა. ხალხის პატივის-ცემას მაშინ დაიმსახურებთ, თუ რომ ეჭვ მიუტანელ პატიოსნების და სიმართლის მქონე იქნებით, თუ სამართლის სასწორს თქვენს ნება-სურვილზე არ გადახრგადმოხრით იქით-აქეთ. თუ თქვენ სიმართლის ერთგული დარაჯი იქნებით, ხალხიც თქვენ მოგბაძავს და არავითარი ავაზაკობის კვალი არ შეიძლება, რომ დაიმალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სამსახურში ორ-ჭობობთ, თუ თქვენ ნებაზე სჭრით და ჰკერავთ სამართალს, მაშინ, რასაკვირველია, ხალხიც მათ სულსა და გულში არ ჩაგახედებს და მათ გულნადების და საიდუმლოების გასაღებს არ მოგცემს ხელში. მაშ ეცადეთ, რომ მიუდგომელი და სასწორ-მართალი იყოთ თქვენ საქმეში. ერიდენით ნიორის ჭამას, თუ რომელიმე თქვენგანი ეწყობა, რადგანაც ნიორი ისეთი თვისებისაა, რომ რამდენიც უნდა ირეცხოთ პირი, მაინც მისს ცუდს სუნს ვერ მოიშორებთ... მამასახლისები, უნდა მართალი ვსთქვა, ძალიან შესაბრალისნი ხართ, უსასყიდლოდ, უჯამაგიროდ მთელ სამის წლის განმავლობაში უნდა ემსახუროთ მთავრობას და საზოგადოებას. ჩვენში სად არის ისეთი შეძლებული ოჯახი, რომ ერთ მუშა ხელის გაცდენა სამ წელიწადს არ დააჩნდეს, მაგრამ ინუგეშეთ იმით, რომ თუ პირნათლად უძღვებით თქვენ საქმეს, ხალხის გულში სიყვარულს მოიპოვებთ და ეს ყველა სასყიდელზე, ჯილდოზე და ჯამაგირზე უძვირფასესი საქმეა. ხოლო თუ ამ აზრით არ მსახურობთ, თუ გინდათ, რომ მაგ სამსახურს რამე ჩამორჩეთ, იმ შემთხვევაში გირჩევთ, ვიდრე ბრალდებულთა სკამზე არ დაგსვან, თავი დაანებოთ მამასახლისობას. იცოდეთ, რომ ჩემთან სითაღლითე და ყალბობა არ გამოდგება და არც ისე ადვილად მოსატყუებელი ვარ, რომ თქვენის მოქმედების ყოველი ნაბიჯი არ ვიცოდე. ძალიან მცირე ალაგიდამ დავიწყე სამსახური და ამ კიბის ყველა საფეხური კარგად ვიცი. სხვა რომ არაფერი იყოს, ასე გასინჯეთ, ნადიაკვნარიცა ვარ და ძალიანაც რომ მოინდომოთ ვერაფერში მომატყუილებთ.

ამას გარდა, გაზეთებში ამომიკითხავს და თავის-თავადაც ვიცი, რომ გურულები სწავლა-განათლების მოყვარული ხალხია და ერთგულად უნდა მოვეკიდოთ და ყოვლის ჩვენის ღონის-ძიებით უნდა ვეცადოთ, რომ ამ სანუგეშო მისწრაფებას ხალხისას ხელი შევუწყოთ. ეს პირდაპირი და უსაჭიროესი დანიშნულებაა ჩვენი, რადგანაც ავაზაკობა და სხვა არა სასურველი ყოფა-ქცევა შედეგია უვიცობისა და უცოდინარობისა. გზებზე აბა რაღა უნდა გითხრათ, თუ ესეც სათქმელად გაქვთ, რომ გზები რიგიანი იყოს მაზრაშიო, უნდა ვიფიქროთ, რომ ძალიან გულგრილნი უნდა იყოთ თქვენ საქმეზე. უნდა ეცადოთ და ისეთი დრო შეურჩიოთ ხალხს სამუშაოზე გასაწვევად, რომ ხვნა-თესვისაგან ცოტა შეცვლილი იყოს. შეძლებული ოჯახი უფრო მეტი ამუშავეთ გზაზე და შეუძლებელი უფრო ნაკლები. ყრილობა კვირა-უქმე დღეებზე მოახდინეთ და უსათუოთ წირვის შემდეგ.„ ეს არის ჩემი სიტყვა თქვენთან, ბევრი ვერ ვთქვი, რადგანაც ახალი კაცი ვარ დ, ჯერ აქაური საჭიროებანი კარგად შესწავლილი არა მაქვს, როცა სათითაოდ ყოველ საზოგადოებას დავივლი, ზოგსაც შემდეგ გეტყვით და ვისაც ვერ ძალ-გიძა ამაების ასრულება, ეხლავე დაითხოვნის ქაღალდი შემოიტანეთ. თორემ თუ ვინმე სიყალბეზე დავიჭირე და ნამდვილად დავრწმუნდი მის არა კაცურ ზნეში, არავისი შუამდგომლობა ჩემთან არ გასჭრის. ისიც იცოდეთ, რომ ყველაფერში მე საკუთრად უნდა დავრწმუნდე და სხვის სიტყვებს შეუმოწმებლად ვერ მივიღებ. ამ მხრით სწორედ ურწმუნო ვარ“. დასასრულ მაზრის უფროსმა მომავალ სამეურნეო

## ფელეტონი

### ვალოსნობა გურია-სამეგრელოში.

აგერ ჩვიდმეტი წელიწადია, რაც გურია-სამეგრელოში, ვსცხოვრობ და თვალ-ყურს ვადევნებ აქაურს მეურნეობა-მიწად-მოქმედებას. როგორც მოგეხსენებათ, აქაურს მამულში უწყლოდ და თითქმის უზრუნველად ხარობს მრავალ-გვარი ხეხილი და მცენარე. მაგრამ აქ არ არის ისეთი ბაღები, როგორც ქართლსა და კახეთში. მიზეზი უფრო მკვიდრთა უცოდინარობა უნდა იყოს, ჩემის აზრით. ზოგან ამ მშვენიერ მთა-ბარში საბაღე ადგილები მთლად ცარიელია და მხოლოდ აქა-იქ მოსჩანს ხის ძირკვები, ეკალი და ნაოხარი. ერთის შეხედვით კაცს ეგონება, მტერს აუკლია აქაურობაო. დავიწყე ცდა და პირველად სხვა-და სხვა ხეხილისა და ვაზის გაშენებას მივაქციე ყურადღება, მოვიტანე განჯიდგან, ერევნიდგანა კახეთიდგან, გორიდგან და ბელაგორიდგან ვაზი და დავრგევი აქ სხვა-და-სხვა ადგილას. ყველგან ოროლი და სამსამი ძირი ჩავყარე გამოსაცდელად. მოვიდა დრო, ეს რამდენიმე წელიწადი, მაგრამ ამ ჩემმა გამოცდამ არ გამიმართლა იმედი: არსად არ იხეირა ვაზმა, არც მაღლობ ადგილებში და არც დაბლობებში. მხოლოდ ფოთლები და ლერწები დაიზარდა, მაგრამ ყურძენი-კი არ მოისხა და როდესაც კარგათ დამთავრდნენ, მაშინ, თუმცა დაიწყეს ყურძნის მოსხმა და აგერ აგერ გამოაჩინეს თითო ძირმა ორ-ორი, სამ-სამი პატარა მტევანი, მაგრამ ყურძნის გემო, ფერი და ღირსება არა ჰქონდათ; ერთის სიტყვით, კაი თვისების ყურძენი არსად არ გაჩნდა.

ამ გარემოებამ ძლიერ შემაწუხა. დავფიქრდი და გადავსწყვიტე, რომ აქ სხვაფრივ უნდა მოიქცეს-მეთქი კაცი. ეს სხვაფრივ მოქცევაც ის იყო, რომ ბევრის ფიქრის შემდეგ, მყნობა დავიწყე ვაზისა. მყნობამ იმედი სრულიად გამიმართლა. იმ თავიდგანვე მქონდა იმედი, რომ ამ მხარეს კარგის თვისების ყურძენი გაჩნდებამეთქი, იმიტომ, რომ აქაური ჰავა ბევრად ჰგავს იმერეთისა და ბათუმის ქვეყნების ჰავასა, სადაც მშვენივრად ხეირობს ვაზი, კარგი ყურძენი მოდის და ღვინოებიც კარგის თვისების დგება. ამ იმედით მოვკიდე ხელი საქმეს. მარტში ანუ აპრილის დამდეგს აქაურ მიწაში ნაჩვევ იზაბელლისა ანუ, როგორც ამ მხარეს უძახიან, ადესაის ვენახი სამ-ოთხ წლის დარგული უნდა მოსჭრა ძირში მიწის პირად და დანით ანუ წალდით (ნაჯახით) შუაში გახეთქო ორნაწილად. ამ გახეთქილში ორი ღერი უცხო (სხვა-და-სხვა ქვეყნებიდგან მოტანილი) ვაზის ლერწი ჩასვა და უბრალო ჭინჭით გარშემო შემოახვიო. მერე უბრალო ტალახით გამოლესეთ და მიწით გარშამო გაამსეთ. ამ ნაირად რამდენიმე ძირი ვაზი დავმყენი გურია-სამეგრელოში და ყველგან ჩინებულად იხეირეს და კარგის თვისების ყურძენიც მოისხეს. თავი და თავი ღირსება ამ დამყნისა ის გახლავთ, რომ ადესაის ვაზი აქაურ მიწაში ნაჩვევია, არა სნეულდება და ძირი ყოველთვის საღი აქვს. ამ ვაზს არას წყენს არც ჭაობის სუნი და არც უვარგისი მიწა. ამ ვაზს ადვილად შეუძლიან დედა ძირათ გახდეს უცხო ქვეყნიდგან მოტანილ ვაზისათვის, რომელიც აქაურ მიწას უცხოობს, ვერ ეჩვევა, ვერ იშვნევს და სნეულდება. ამ სახით, ის ნაწილი ძირებისა, რომელიც მიწაშია, ლპება და მუწუკივით გარშამო აჩნდება, გეგონებათ ჭიისა ანუ თაგვის ნატკვრევიაო, ვგონებ ეს იმისგან უნდა იყოს, რომ აქაურს მიწას ურევია ისეთი მინერალები, რომელიც ხეირს არ აყრის სხვაგნიდამ მოტანილ ვაზს. ბევრი აქაური კაცი ამ აზრისაა, ვითომც უცხო ქვეყნის ვაზს ამისთანა სველი მიწა, როგორც აქ არის, არ უყვარსო და ამიტომ არც ჰხეირობსო. ეს შეცდომაა. იმერეთსა და ჭანეთშიაც ასეთივე სველი მიწაა, მაგრამ, თუ მარტო სისველე სწყენს ვაზს, იქ რაღად ჰხეირობს ვაზი და რაღად მოდის კარგის ღირსების ყურძენი და კარგის თვისების ღვინო?! გარდა ამისა, ერევნის გუბერნიაში იმისთანა ვენახებია, რომლებიც თითქმის შიგ წყალშია. იქ ბევრგან ვენახები სულ ჭაობიან ადგილებშია და ნახევარ არშინის სიღრმეზე რომ ორმო ამოსთხაროთ, წყალი ჩნდება.

სკოლის და მისი მნიშვნელობა სარგებლობის შესახებ ილაპარაკა. დ, როგორც აქედამ სჩანს, თუ მაზრამ ხელი შეუწყო ეს კაცი ადრე ეღირსება ამ სკოლასაც“.

დათიკო ვერმიცანაშვილი

## მშობელთა და აღმზრდელთასაყურადღებოდ.

დასავლეთს ევროპაში ზღვის პირად ჩამწკრივებულია რამდენიმე პაწ წა სახელმწიფო, რომელთა შინაურს ცხოვრებაზე ძნელად შეჰხვდებით ჩვენებურს გაზეთ-ჟურნალებში საყურ დღებო ცნობებს. სადმე და როდისმე გაკვრით თუ მოიხსენიებს ვინმე იმ თს სახელს, თორემ სხვა-გვარად ვინ მიაქცევს ისე დაწვნიკებულს სამეფოების ყურადღებას. მართალი რო ითქვას კი, ჩვენთვის ევროპის ვეშაპ სახელმწიფოებს არა ნაკლებ საცნობისმოყვარეა არის ეს უცნობი წვრიმალი ქვეყნებიც თავისი ზნე-ჩვეულებით, ხასიათით, კულტურულის ძალით და არა, რასაკვირველია, პოლიტიკურის ძალ-მომრეობით. ერთი ამ განათლებულ პატარა სახელმწიფოთაგანი გახლავთ ჰოლანდია. ჰოლანდიელების ცხოვრების აღწერა ყოველივე მხრით მიგვინდვია გამოცდილ და დახელოვნებულთათვის და მე კი ამ ჟამად მოვიყვან ხსენებულ უცხოელთა ცხოვრების ერთს მაგალითს, რომელიც დაგვანახვებს, თუ რა დიდს ყურადღებას აქცევს ჰოლანდიის ერი თავის ახალ-თაობის ფიზიკურად აღზრდას. რამდენისამე თთვის წინად ამ პატარა სახელმწიფოში სწავლა-განათლების მინისტრისაგან დედათა სკოლების მმართველთ დაურიგდათ ჰიგიენურ სახელძღვანელო წესთა კრებული, რომელიც შეუდგენიათ იქაურს ცნობილს ექიმებს. აი ეს კრებულიც:

„ჰიგიენური წესნი, დადგენილნი ჰოლონდიის სწავლა-განათლების სამინისტროსაგან მოსწავლე ახალგაზდობისათვის.

სასკოლო ჰიგიენა,

ყურების მოვლა.

1. მოარიდე ყურები ყოველ გვარ დანჯღრევა-შერყევას: ნუ სცემ ყურებზე; ნურც ჩაჰყვირებ ყურებში.

2. ყურებს ნურასოდეს ნუ დაუწყებ ჩიჩქნას სხვა-და-სხვა წვეტიანის საგნებით, როგორც მაგალ.—კარანდაშით, გრიფელით ანუ წინდის ჩხირით. ყურებში არაფერი არ უნდა ჩაიდო, უბრალო ბამბითაც ნუ გამოიტენ ყურებს, მით უფრო ისეთის ბამბით, რომელიც დასველებულია ოდეკოლონით, გარლემის ზეთით ან სხვა რითმე.

3. სუფთად იქონიე ყურების ბიბილოები და გარეთა ყურის ყველა ის ნაწილი, რაც კი თვალით დაინახება. საპნიანი წყალი ყურებისათვის ფრთხილად იხმარე; დაიბანო თუ არა ყურები, კარგად გაიმშრალე ყველა სველი ადგილები.

4. თუ რამ ჩაგივარდეს ყურში, თვითონ ნურას ილონებ იმის მოსაშორებლად და, რაც შეიძლებოდეს, ჩქარა მიჰმართე ექიმს. თუ ყურში ცოცხალი მწერი შეძვრა (რწყილი და სხვ.), სანამ ექიმი მოვიდოდეს, ჩაუშვით ყურში წვეთ წვეთად ნელ-თბილი ზეითუნის ზეთი.

5. ყურებიდამ თუ ჩირქი გდის, ნუ იფიქრებ, რომ ეს „საშიშო არაა“ ან ეს „მარგებელიცაა შენის ჯანმთელობისათვის“; პირ-იქით, უეჭველად ჩქარა დაეკითხე ექიმს ამ საგნის შესახებ.

ცხვირის მოვლა.

1. ცხვირი ყოველთვის წმინდად იქონიე. გახსოვდეს, რომ პირი ჭამისა და ლაპარაკისთვისაა დანიშნული, ცხვირი-კი სუნთქვისთვის. როდესაც ცხვირს იხოც, ნაღარასავით ნუ ახმაურებ ნესტოებით—ამის ნაცვლად, გულ-დადებით ჯერ ერთი ნახევარი ცხვირისა გამოიწმინდე და მერე მეორე.

2. თუ წესიერად ცხვირის სუნთქვა გიჭირს—სიარულისა, სირბილის, ლაპარაკის ანუ ძილის დროს,—ექიმს გაასინჯე თავი, რათა იცოდე, რისაგან წარმოსდგება ეს.

3. აუცილებლად საჭიროა, თვალი ადევნონ ყმაწვილს, რომ მან თავისი სიცოცხლის პირველი თვეებიდამ დაწყებული პირი მოკუმილი იქონიოს ხოლმე. თუ ყმაწვილი აკვანში პირღია სწევს, ბალიში ისე ამოუდევით თავ-ქვეშ, რომ ნიკაპი ოდნავ ეხებოდეს გულის ფიცარს. თუ რამდენისამე კვირის შემდეგაც ყმაწვილმა ეს ჩვეულება არ დააგდო, ე.-ი. ისევ პირით სუნთქამს, მაშინ ექიმს აჩვენეთ ყმაწვილი.

სასუნთქავი ორგანოების მოვლა

1. ისუნთქე მარად პირ-მოკუმულმა.

2. შეძლებისამებრ ერიდე მტვერიანსა და გაფუჭებულს ჰაერში სუნთქვას; აგრეთვე თვითონაც ნუ აადენ მტვერის კორიანტელს, როგორც ოთახში, ისე ქუჩაზე.

3. არაოდეს არ ამოაფურთხო ცხვირსახოცში და არც იატაკზე ოთახში.

4. ზაფხულობით იშრომე ფანჯრებღია ოთახში. ზამთარში, კარგის ტაროსის დროს, ოთახის კარები და ფანჯრები ერთბაშად გაალე ხოლმე, რომ ჰაერი გაიწმინდოს.

5. არ დასჯდე ოთახში ისეთს ადგილს, სადაც ორი მოპირის-პირე ქარი ჰქრის (сквозной вѣтеръ), ნამეტნურ ერიდე ამას, როდესაც გახურებული ხარ.

6. მუდამ იზრუნე, რომ შენს საძინებელს ოთახში, რაც შეიძლება სუფთა და წმინდა ჰაერი იყოს; გახსოვდეს ამ ოთახში ატარებ უმეტესს დროს შენი სიცოცხლისას, განისვენებ ხოლმე ყოველდღიურ შრომა-ზრუნვისაგან დაქანცული და იქვე უნდა შეიკრიბო ჯანი და ღონე მეორე დღეს შრომა-გარჯისათვის.

7. არაოდეს არ მიაწვე ღონივრად გულის ფიცრით ან მუცლით, რომელსამე საგანს.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

სმოლენსკის სასულიერო სემინარიაში, ,,Моск. Вѣд.“-ის სიტყვით, არეულობა მომხდარა. აღდგომის წინა დღეებში სმოლენსკისა და დოროგობუჟის ეპისკოპოსი გური ყოფილა ამ სემინარიაში და თვისი უკმაყოფილება გამოუცხადებია სემინარიაში მომხდარ არეულობის გამო. იმავე დღეს, რა დღესაც ეპისკოპოსი ყოფილა სემინარიაში, გათავებულა ამ საქმის გამოძიება, რევიზორის ნეჩაევის მიერ წარმოებული. ჯერჯერობით რა იქნება, არავინ იცის. ამბობენ კიო, დასძენს გაზეთი, რომ სემინარიის ინსპექტორი ლიუბოსლავსკი და მისი თანაშემწე კირილოვიჩი დათხოვნილ იქმნებიანო. ინსპექტორის თანამდებობას უკვე ასრულებს როდიონოვიო.

—

სახელმწიფო საბჭოს მომავალს სესიაში დამთავრებული იქნება განხილვა იმ კანონ-პროექტისა, რომელიც შეეხება სამიწა-მამულო გარდასახადის შემცირებას, თუ ვინიცობაა უბედურება რამ ეწვია იმის მოსავალს. მაგალითებრ, თუ მოსავალი დააზარალა სეტყვამ, წყალ-დიდობამ, ცეხლმა, ცეცხლი გაუჩნდა ტყეს და სხ., მიწის გარდასახადი უნდა შეუმცირდეთ დაზარალებულთ. ეს გარდასახადის შემცირების შეღავათი მხოლოდ იმ მემამულეთ მიეცემათ, რომელთა მამულის შემოსავალიც ზემოხსენებულ მიზეზთა გამო მეოთხედს ნაწილს მაინც იკლებს, ესე იგი უწინდელთან შედარებით ერთის მეოთხედით ნაკლებს შემოსავალს მოიყვანს.

—

რათა გლეხებს იაფ-ფასად შეეძლოთ ფულის შოვნა და იძულებულ არლა იქნენ გაჭირვებისაგან ფულის სესხებას, ტობოლსკის გუბერნატორმა უკვე შუამდგომლობა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ მან დაამტკიცოს პროექტი იმ სასოფლო ბანკის წესდებისა, რომელიც განუზრახავთ დააარსონ სოფლის საზოგადოების საბჭოთ თვრამეტს სოფელში.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ლონდონის ერთს სასტუმროში ამას წინად შემოუღიათ ელექტრონით ჩოთქი, რომელიც ფეხსაცმელს სწმენდავს თავის თავად. ეს მანქანა შესდგება სამის ჩოთქისაგან, ორი ჩოთქი აქეთ-იქით არის გაწყობილი და ერთი მოძრაობს. მანქანა მუშაობს ელექტრონის ძალის შემწეობით და საუცხოვოდ სწმენდავს ფეხსაცმელს.

—

ჩინეთში ფარშევანგის ფრთას ორდენის ადგილი უჭირავს. დიდი მეფური წყალობაა თუ ვისმე ნება დაერთო ფარშევანგის ფრთა ატაროს. ამ ფრთის ტარების უფლება ენიჭებათ განსაკუთრებულ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურისათვის და ამ სამსახურის რაოდენობაზედ არის დამოკიდებული, რომელიმე მოხელე ერთ რგოლიან ანუ თვალიან ფრთას ატარებს, თუ ორ სამ თვალიანს. ეს უკანასკნელი ფრთა დიდად წარჩინების ნიშანია, უფრო დიდი ორდენია ვიდრე ევროპაში საპატიო ლეგიონის ორდენი. ვიცე-კოროლს ლიგონგ-ჩანგს ამას წინად ებოძა უფლება ამ ფრთის ტარებისა და მაღიანაც მოსწონს თავისი ჯილდოთი. მართლაც მგონი იგი ერთად ერთი მკვიდრი ჩინელია, რომელსაც ასეთი დიდი ჯილდო აქვს მიბოძებული, რადგან აქამდე ამ ორდენს მხოლოდ პრინცებსა და მანჯურის დიდხარისხოვან მოხელეებს აძლევდნენ. ამ ფრთას ჩინელები ქუდზედ ატარებენ.

## გასართობი

—

ერთი ფილოსოფოსი ნავით მიდიოდა. მენავეს ჰკითხა:

— არითმეტიკა იცი?

— ეგ სიტყვაც-კი პირველად მესმისო, უპასუხა მენავემ.

— ძალიან ვსწუხვარ, სიცოცხლის ერთი მეოთხედი დაგიკარგავს უბრალოდაო, უთხრა ფილოსოფოსმა.

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ჰკითხა:

— ფიზიკა იცი?

— არა, უპასუხა მენავემ.

— ასტრონომია მაინც გეცოდინება.

— არა, ბატონო, უპასუხა მენავემ.

— ოჰ! ნახევარი სიცოცხლე დაგკარგვიაო, უთხრა ფილოსოფოსმა.

სწორედ ამ დროს ნავი კლდეს დაეჯახა და ძირ-ძირს დაიწყო წევა. მენავე წამოხტა, დაიწყო ტანისამოსის გახდა და ჰკითხა ფილოსოფოსს:

— ბატონო, ცურვა იცით?

— არა, მიუგო ფილოსოფოსმა.

— ოჰ, წამოიძახა მენავემ, მთელი სიცოცხლე დაგკარგვიათ, რადგანაც ნავს სძირავს და თქვენც თან ჩაგიტანსო.

**

თავრიზში ! იმრუშისათვის სჯიდნენ ერთ ქალს, სახეზედ მური წაუსვეს, ვირზედ პირუკუღმა შესვეს და კუდი ხელში მისცეს. დიდძალი ხალხი მიუძღოდა ზურნით.

გზაზედ ვირს ფეხი გაუსხლტა და კინაღამ გადმოვარდა ეს ურცხვი ქალი. მაგრამ როგორც იყო თავი შეიმაგრა და წამოიძახა:

— კინაღამ არ შევრცხვი მთელს ქალაქში.

## სასამართლოს მატიანე

—

3 მარსს პეტებურგის ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა დიდად საყურადღებო საქმისა, რომელიც ცნობილ მილიონერი გრიპანოვის ანდერძს შეეხება. ზოგიერთ გაზეთებში კიდეც იყო სხვა-და-სხვა ცნობანი და დაწვრილებითი ამბავი, როგორც თვით ამ საქმის შესახებ, ისე იმათ შესახებ, რომელთაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენისა; ერთის სიტყვით, ყოველივე, რითაც-კი შეიძლება საზოგადოების ფეხზედ დაყენება, უკვე მოთხრობილ იქმნა და პუბლიკაცია დაიკრა. ეს ჩვეულება დაფუძნდა მწერლობაში და ძალიან მკვიდრადაც მოიკიდა ფეხი. ეს ჩვეულება გამოწვეულია იმ გრებოებით, რომ ჟურნალისტი ვალდებულია საზოგადოება, გაართოს რითაც-კი შეიძლება, ოღონდ იგი კმაყოფილი იყოს და ნასიამოვნები. გარდა ამისა გაზეთებისთვის შეკრებილი ცნობანი ამოწერილია თვით საბრალმდებელო ოქმიდგან, რასაკვირველია, ყოვლად პატივცემულ მთავრობის წარმომადგენელ ბრალ-

---

მაშ იქ რაღად იხამს ვაზი კარგ ყურძენს. აქედგან სჩანს, რომ გურია-სამეგრელოს ნიადაგის უვარგისობა ქართლ-კახეთის და სხვა მხრის ვაზისათვის, სისველის გამო არ წარმოსდგება, არამედ სხვა რამ მიზეზია. ზევით მოგახსენეთ, რომ აქაურს მიწას რაღაც სუნი აქვს და რადგან ამ სუნს აქაური ვაზი და ხე შეჩვეულია, ამიტომ ძრიელ ადვილად შეუძლიან ნამყნისთვის გახდეს დედა ძირად, ვაზი ვაზისათვის და ხე ხისათვის. შარშან, ჩემგან დამყნილი ვაზის ყურძნისა დავაყენე კიდეც რამდენიმე ღორი ღვინო; ნამყენები მოტანილი იყო გორიდგან და განჯიდგან. ღვინო ძალიან კარგი დადგა. სხვა ქვეყნიდამ მოტანილ ნამყენების ყურძენიც სწორედ ისეთისავე თვისებისა გამოდგა, როგორც იმ ქვეყანაში ჰქონდა, საიდამაც მოტანილი იყო დასამყნელი რქა, ანუ ლერწი. არც გემოთი, არც ფერით არ განსხვავდება. გამოცდილებამ მაჩვენა მხოლოდ, რომ დამყნილი ვაზი უნდა იყვეს დარგული ისეთს ალაგას, საცა დილით-საღამომდის მზე ზედ დასცქეროს და მახლობლად მწვანე ბალახი, ეკლები ანუ სხვა ხეხილი არა სდგას. ამას გარდა, ვაზის ძირებში უნდა მოითოხნოს, როგორც სიმნდს თოხნიან და არასოდეს ბალახმა არ უნდა დააყრუოს და ზამთრობით საქონელი არ უნდა შეეხოს დამყნილს ვაზს. მარტში უნდა გასხლათ ლერწები და თითო ლერწი დასტოვეთ სიგრძით $^3/_4$ ანუ 1 არშინი, ე. ი. სამი ანუ ხუთი ლერწის მუხლი უნდა შეარჩინოთ; ერთს ძირზედ დასტოვეთ ჯერჯერობით 4-5 ლერწი და, როდესაც დედო ძირი კარგად გაღონიერდება, მაშინ 5—10 ლერწი და მეტიც შეგიძლიანთ შეარჩინოთ—ამისთანა ვაზები უთუოდ ხმელსა და მაღალს ხეზედ უნდა იყოს აყვანილი.

ერთი რამ კიდევ უნდა დავსძინო ყოველსავე ზემოხსენებულსა: ზოგან ამ მხარეს მიწას რომ ამოსთხრით, ნახევარ არშინის სიღრმეზედ იგრძნობთ სიმჟავისა და გოგირდის სუნსა. როგორც სჩანს, აქეთ დედამიწის ქვეშ რაღაც მინერალებია, რომელიც ჰქენთავს მიწას და მხოლოდ ზედა პირი, ესე 2—3 ვერშოკის სიღრმეზედ ჰაერისაგან არის გაწმენდილი და იმ სიმჟავისაგან განთავისუფლებული გაწმენდილ, ამ ნაწილში ხეირობს მხოლოდ ყოველგვარი მცენარე. დავუკვირდი ამ გარემოებასაც გულ-მოდგინეთ და აღმოჩნდა, რომ, რაც ხე-ტყეა ამ მიდამოში, ყველა ის ძირები ჩასულა მიწაში მხოლოდ ამ სიღრმეზედ; დაბალ ადგილას 4—6 გოჯამდე, ხოლო მაღალ ანუ მთა ადგილებში 5—8 გოჯამდე. როგორც სჩანს, ამაზედ ქვევითი ნაწილი აქაურის მიწისა არ ვარგებულა ხე-ტყისათვის; ზევითი ნაწილი-კი ძლიერ ღონიერია. არა მგონია, რომ ამისთანა ღონიერი მიწა, როგორც გურია-სამეგრელოშია, სხვაგან სადმე იპოვებოდეს ამიერ-კავკასიაში. ცხადია, ამას შემდეგ, რომ ხეა, ტყეა თუ ვაზია უნდა დაირგოს აქაურ მიწაში ერთის მტკაველის სიღრმეზედ, ხოლო თუ ამაზედ ღრმად წავიდა მცენარის ძირი, ის მცენარე უთუოდ გახმება და არ იხეირებს, ათას გვარი სატკივარი გაუჩნდება და თან გადიტანს. თუ ხის დარგვა გინდათ, უნდა დაიწყოთ ორმოს თხრა და მაშინვე სუნით უნდა გასინჯოთ ის ორმო, ანუ იქიდამ ამოღებული ერთი მუჭა მიწა. ეს მიწა ჩაჰყარეთ ერთს ჭიქა წყალში და მერე გემოთი სინჯეთ. ამ გვარად ადვილად გაიგებთ, მიწა რა თვისებისაა, ანუ რა სიღრმეზედ უნდა ამოსთხაროთ ორმო. ესევე უნდა გაფრთხილდეთ, როცა სხვა-და-სხვა თესლეულსა სთესავთ. არასოდეს არ უნდა დაჰხნათ დასათესავად მიწა $0\,^1/_2$ ანუ ერთის გოჯის სიღრმეზედ მეტი, იმიტომ რომ, როგორც ზევით მოგახსენეთ, ღრმად მიწა უვარგისია და თესლს ალპობს, აფუჭებს. ყოველ გვარი თესლეულება ასე გასინჯეთ, ხორბალი, სიმინდი, ლობიო, ქინძი, პრასა და სხვა მწვანილეული, რომელიც ღრმად ვარდება მიწაში, იქვე ლპება, ხოლო თუ ზოგიერთი ამოვა, ისიც დაჭლექებული და გაყვითლებულია; ზოგი მთლად ხმება და ზოგიერთი იმ დრომდე ავადმყოფობს, ვიდრე ამოჰყრის ზეზე მიწის პირად ფესვებს, მაშინ თუმცა კეთდება, მაგრამ კარგი მოსავალი მაინც არ მოჰყავს.

მ. ა.

სადგური სუფსა.

მდებელთა ნაშრომიდგან, მაგრამ ეს შრომა ყოველთვის ცალ—მხრივია-ცალი—კერძი და ხშირად განადგურდება ხოლმე მისი საბუთები სასამართლოში. ხშირად ნაფიცნი მსაჯულნი სრულიად გაამართლებენ ხოლმე ამისთანა საქმეში ბრალდებულთ. ზოგიერთს ბრალდებულს ის სენიცა სჭირს ხოლმე, რომ უნდა სალიტერატურო შემოქმედობის ნიჭიც გამოიჩინოს, ისეთი, რომლითაც გაითქვა სახელი თავის დროს ეჟენ სიუმ. და აი სწორედ იმიტომ, რომ ყოველივე ესე კარგად ცნობილია, ჟურნალისტები არ უნდა ემგზავსებოდნენ არც ბობჩინსკის და არც დობჩინსკის სწორედ იქ, სადაც მათის წინა-მასწარობით ძლიერ წაუხდება საქმე გმირს... რომანისაპ-კიარა, არა, ბრალმდებელ ოქმისას. დაწვრილებული ცნობანი საქმისა და საყურადღებო დახასიათება მისის გმირებისა, ამოწერილი საბრალმდებულო ოქმიდგან, რომელიც ნაწილ-ნაწილად და შეიძლება მთლადაც გაუქმდეს ბოლოს,—ყველა ეს წინა-მასწარობით თქმული გასამართლებამდის კაცის ღირსებას ჰლახავს, ჩირქს სცხებს, პატიოსან სახელს უტეხს მაშინ, როდესაც ადვილად შესაძლოა ის კაცი სრულიად გამართლებული გამოვიდეს სასამართლოდამ.

საქმე ძალიან ადვილი მისახვედრია ყველასათვის: შესაძლოა განა, რომ კაცი დაემყაროს და იჯერებდეს ყოველსავე, რაც გამოძიებით აღმოჩენილა და რაც საბრალ-მდებლო ოქმშია მოქცეული და მოთხრობილი? ჩვენის აზრით, შეუძლებელია, კაცი დაენდოს ასეთს მასალას და იმის საფუძვლით მსჯელობდეს თამამად, ხოლო იმათ კი აღარ დაეძებდეს, ვისაც მისი მსჯელობა შეეხება.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

I

23 აპრილს, სცენის მოყვარულთაგან გაიმართა ბორჯომში რუსულ-ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით. დასასრულ იყო ლგკური. ამ წარმოდგენას ხელი შეუწყო მის იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოოზ მიხეილის ძემ, დაუთმო სათეატრო დარბაზი ყოველისავე განწყობილებით და აგრეთვე ორი თუმანი ფულიც შესწირა.

ბილეთების გაყიდვით შემოვიდა 51 მ. 40 კაპ., შემოწირულობა (როგორც ზევით მოვიხსენიეთ) 20 მ სულ 71 მ. 40 კაპ.

სახაზინო გადასახადი, ხაზინადარი, მსახურნი და სხვა-და-სხვა წვრილმანი ხარჯი სულ 16 მ. 25 კაპ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 55 მ. 15 კაპ. აქედგან 25 მან. გადაეცა „Тиф. Лист.“-ის რედაქციას ერევნის გუბერნიის დამშეულთა სასარგებლოდ, დანარჩენი 30 მ., 15 კაპ. გადაეცა ბლაღოჩინ-მღვდელს ს. დავიდოვს, დასარიგებლად აქაურ გაჭირვებულთა შორის.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ნ. ნ. ჯომარდიძე, ვლ. ყიფიანი, ი. ვლასოვი, ი. გორბუნოვი, ლ. დუმბაძე, ქ-ნი სარქისოვისა, პ. ხუციშვილი, კ. ჯომარდიძე, ნ. ლომჯანიძე, მ. ზირიუკოვი, ი. კარგარეთელი და სხვანი.

დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები და კმაყოფილი დაბრუნდა თეატრიდამ. უფრო მოსწონდათ და სიამოვნებით ისენიებდნენ კ. გუნიას ვოდევილს: „რაც არ მერგება—არ შემერგება“.

ბევრნი სწუხან, რომ ვერ დაესწრნენ ამ წარმოდგენას.

წარმოდგენამ საზოგადოდ რიგიანად ჩაიარა. რა თქმა უნდა ნაკლიც ჰქონდა, მაგრამ ეს შესაწყნარებელია, მით უფრო, რომ პირველად გამოვიდნენ მოყვარულნი, სცენაზედ. ბევრნი შნოიანად თამაშობდნენ.

როგორც გავიგეთ, ზაფხულში აპირობენ რამდენისამე წარმოდგენის გამართვას საქველმოქმედო აზრითვე.

ნინო ალიბეგოვისა

1894 წ. 30 აპრილი

დ. ბორჯომი

—

II

მუსხის ბიბლიოთეკას შემოსწირა გენერალ-მაიორმა ალექსანდრე ივანეს ძემ მუსხელაშვილმა და აფიცერმა ტებიევმა პირველმა 3 მან. და მეორემ—1 მან. რისთვისაც დიდს მადლობას ვუძღვნი.

ამას წინედ გწერდით, რომ მუსხის სკოლის ბიბლიოთეკას შეუგროვდა 15 90 კ. აქ უნდა ვიხსენიოთ, რომ ზემოხსენებულთ მიერ შემოწირული 4 მანეთიც ირიცხება ამ 15 მანეთში და 90 კ.

გარდა ამისა მადლობას ვთძღვნი ქ. შუშის საქალაქო სასწავლ. მასწავლებელს იაკობ სვიმონის ძეს ბ-ნ ზედგინიძეს, რომელმაც ხსენებულ სკოლის ბიბლიოთეკას გამოუგზავნა 2 მანეთი. დღემდე ბიბლიოთეკას შეუგროვდა 17 მან. 90 ამასთანავე მადლობას ვუცხადებ ბ-ნ ახალციხის მომრიგებელ მოსამართლის ბოქაულს დეკანოზოვს, რომელმაც შემოსწირა ბიბლიოთეკას შემდეგი წიგნები:

სურათები ხალხის ცხოვრებიდგან დ. მეგრელისა 1, მწირი ლერმონტოვისა 1, დედაშვილის თავ-გადასავალი 1, გუნწულა გოგებაშვილისა 1, „ცდა“ (კრებული) 1—1 ეგზ., ლექსნი თქმულნი მერაბ ყორღანაშვილისაგან 1, სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდგან 1; სამწყრლო თაიგული 1, ხოლერა—ავავისა 1 ეგზ., წითელი ფარანი 1 ეგზ., 1890 წ. სრული „ჯეჯილი“ და 1891 წლის „ჯეჯილის“ №№ I და II.

მუსხის სასწავლებლის მასწავლებელი ვ. კოპტონაშვილი

1 მაისს რ891 წ.

ს. მუსხი

—

III

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი:

აპრილის თვის 23 რიცხვსა, დ. ბორჯომში გამართულ იქმნა წარმოდგენა—ღარიბ ოჯახთა სასარგებლოდ. შემოსულ ფულიდამ გადმომეცა მე ღარიბთა დასარიგებლად სამი თუმანი და სამი შაური. მოხსენებული ფული დაურიგდა: 1) გრიგოლიძისას 5 მან.; 2) ჯომარჯიძისას 5 მან.; 3) გურგენიძისას 4 მან.; 4) ბესტავაშვილისას 3 მან.; 5) ლიჩელისას 3 მან.; 6) ფიდო მოსიკაშვილს 2 მან. და სამი შაური; 7) სუპრუნენკოს 2 მ.; 8) მიხაილოვისას 2 მან.; 9) ოჰანესიანცს 2 მან.; 10) კარაპეტოვისას 2 მან.; სრულიად სამი თუმანი და სამი შაური.

მოხსენებულნი პირნი გულითადს მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, რომელთაც მიუღიათ მონაწილეობა წარმოდგენაში.

ბლაღოჩინი-მღვდელი სერ. დავითაშვილი

მაისის 2 1894 წ.

დ. ბორჯომი

# დეპეშა

3 მაისი

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია: იმ სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მსესხებელთ, შთამომავლობით აზნაურიშვილთ, რომელთაც 10 იანვრისა და 16 ოქტომბრის უმაღლესის ბრძანებით და აგრეთვე სათავად-აზნაურო ბანკის წესდების 71 მუხლის ძალით, ბანკმა გამოუცხადა, რაც თქვენზედ შემოსატანია 1891—1892 წწ. მოუსავლობის გამო დარჩენილი, ნაწილ-ნაწილ შემოტანით გადაიხადეთო, იმათ ნება მიეცეთ იშუამდგომლონ 1894 წლის 1 დეკემბრამდე, რომ რაც კიდევ დარჩა იმათზედ იმ ნაშთისა შეუტანელი, ისიც გაუნაწილდეთ და ისიც წვრილ-წვრილად შემოიტანონ ყოველ წლობით. ვადა ასე წვრილ-წვრილად შეტანისა არ უნდა აღემატებოდეს-კი იმ ვადას, რა ვადითაც მამულია მათი დაგირავებული. ამ ვალში უნდა გადაიხადონ წელიწადში 6%-ი და შეიტანონ ხოლმე დაწესებული წლიური შესატანი წელიწადში ერთხელ დაგირავებულ მამულის შესატანთან ერთად ან შემოდგომობით, ან ზამთრობით-1 ნოემბერს ბანკში, ხოლო 1 იანვარს მის ვანსაკუთრებულს განყოფილებაში. ბანკისა და მის განყოფილების საბჭომ ასეთი შეღავათი მაშინ უნდა მისცეს მის წინაშე დავალიანებულს მსესხებელს, როცა დაინახავს, რომ მისი მამული და მისი შემოსავლიანობა სწორედ ისეთს ვითარებაშია, რომ ასეთი შეღავათი შეუმსუბუქებს ყოფას მსესხებელს.

დღეს პეტერბურგის ოლქის სასამართლოში დაიწყეს განხილვა იმ საქმისა, რომელიც შეეხება გრიბანოვის ანდერძის მოხერხებითა და სიყალბით შედგენას; მოწმენი 64 კაცია. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვას მთელი დღე მოუნდა სასამართლო. საქმის დაწყების დროს იუსტიციის მინისტრიც სასამართლოში იყო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,44 | 7,47 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_2$ | $149^1/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | $246^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | $224^1/_2$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | $191^1/_2$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — ,, | — ,, | 102 |
| 5% . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | 102 |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | 101 |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 101 | — ,, | — ,, |

# განცხადებანი


**ყვავილის ამცრელი ექიმი პროზოროვსკი** სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5 მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად.

(12—5)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ, სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანცუზსა, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით,

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**გამგე კომიტეტს „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** პატივი აქვს აცნობოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ **წლიური კრება საზოგადოებისა დანიშნულია ამწლის მაისის 14-ს შვიდს საათზე საღამოს:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1-ს აპრილიდგან 1893 წლისა 1-ს აპრილამდის 1894 წლის.

2) ხარჯთ-აღრიცხვა $18^{94}/_{95}$ წლისა

3) მოხსენება იმ განცხადების გამო, რომელიც საზოგადოების ზოგიერთ წევრთ შემოიტანეს კომიტეტში იმის თაობაზედ, რომ გამგე კომიტეტი უკანონოდ განმარტებს § 4 საზოგადოების წესდებისას და იმას, რომ საჭიროა საზოგადოდ მთელი ეს წესდება ხელ-ახლად განხილულ იქმნასო.

და 4) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა. (3—2)

**„ქართული თეატრის არტისტების მოგზაურობა“**

ტფილისის ქართულ თეატრის ამხანაგობა

ბატონ. გუნიას გამგეობით

გამართავს რამდენსამე წარმოდგენას 1 მაისიდგან

ქალ. ფოთსა და ბათუმში.

დასს შეადგენენ: ქნ. ბარბარე ავალიშვილისა, ბარბარე მაქსიმიძისა, ნატ. რჩეულიშვილისა, ბ-ნნი კონ. ყიფიანი, ვლად. ალექსი-მესხიშვილი ვასილ აბაშიძე, ვალ. გუნია, სვიმ. სვიმონიძე კონსტ. შათირიშვილი, გრიგ. აბაშიძე, კონსტ. გალუსტოვი, ალექს. თამაზიშვილი და სხვანი.

რეპერტუარი: და-ძმა ისტ. დრამა მეგრელთ ცხოვრებიდგან 5 მოქ. ვალ. გუნიასი, გამწარებული ცხოვრება კომ. 4 მოქ. გადმოკ. ივ. კერესელიძისაგან, სტუმარი დრამა 4 მოქ. ბრანდესისა, ცხოვრება დრამ. სურათები 2 მოქმედ. ვ. გუნიასი, ალიაქოთი ავთანდილიან ოჯახში, კომ. ფარსი 3 მოქმედ. გიორგი აბაშიძისა, შეშლილია დრ. 3 მოქ. თარგ. აბაშიძისა, გასის გაგეყარე გუდს შეეყარე ფარსი 3 მოქ. ვოდევილები: ხოლოკერობა, ახირებულია, დატრიალდა ჯვარა, არც აქეთ არც იქეთ, და სხვა.

ადგილების ფასი 3 მან. მოყოლებული ვიდრე 50 კაპეიკამდე“. ბილეთების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ამხანაგობის ხაზინადარს თავ. ნაკ. დავ. აბაშიძეს.

ამხანაგობის გამგებელი ვალ. გუნია

(5—3)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

**საპონი**

პროვიზორი

**ა. მ. ოსტროუმოვისა**

სრულიად ჰკარგავს თავის თებოს, თმას ზრდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(20—12)

**კბილის ექიმი**

**ა. ი. ორბელი**

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—190)




ტფილისში ა. არისტაკოვის საფეიქრო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობის“ საწყობში.